

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს  
2016 წლის 2 სექტემბრის სხდომის  
ოქმი N 11**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 წლის 2 სექტემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს 39 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

**დღის წესრიგი:**

1. სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გადასახადის შესახებ
2. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ
3. მიმდინარე საკითხები

**1. მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გადასახადის შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ მოკლედ ისაუბრა დამატებითი სემესტრის დოქტორანტების სწავლის გადასახადის შესახებ და შემდეგ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსს ქ-ნ რუსუდან ინწვირველს. ქ-ნმა რუსუდანმა საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ თსუ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის №77 დადგენილების შესაბამისად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 5 თებერვლის სხდომის გადაწყვეტილებით, 2014–2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან დოქტორანტურის გადასახადი განისაზღვრა შემდეგი სქემის მიხედვით:

- |  |                     |
|--|---------------------|
| a. სწავლის ძირითადი 6 სემესტრის გადასახადი:            | 150 ლარი/სემესტრში; |
| b. პირველი დამატებითი სემესტრის გადასახადი:            | 300 ლარი;           |
| c. მეორე დამატებითი სემესტრის გადასახადი:              | 600 ლარი;           |
| d. მესამე და მომდევნო დამატებითი სემესტრის გადასახადი: | 1125 ლარი.          |

ამასთან, იმ დოქტორანტებისათვის, რომელთაც დამატებითი სემესტრი/სემესტრები აღებული ჰქონდათ ახალი სქემის ამოქმედებამდე, 2015 წლიდან და შემდგომ ასაღები დამატებითი სემესტრის გადასახადი, ამ სქემის მიხედვით განისაზღვრა 300 ლარით და შემდეგ, როგორც სქემაშია: მომდევნო სემესტრები – 600 ლარით და 1125 ლარით, შესაბამისად.

ამჟამად სწავლის გადასახადთან დაკავშირებით შემოვიდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სადოქტორო პროგრამის (მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერება, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, გეოლოგია და გამოყენებითი ეკოლოგია) ხელმძღვანელთა განცხადებები (იხ. დანართები 1) თხოვნით, რომ 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სწავლის ძირითადი 6 სემესტრის გადასახადი დარჩეს 150 ლარი/სემესტრში, ხოლო ყველა დამატებითი სემესტრში სწავლის სემესტრული გადასახადი განისაზღვროს პირველ დამატებით სემესტრში განსაზღვრული საფასურის ოდენობით, რაც შეადგენს 300 ლარს. ეს წინადადება გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

- მიმდინარეობს სადისერტაციო საბჭოების რეორგანიზაცია;
- დამატებით სემესტრებში დარეგისტრირებული დოქტორანტების მიერ გადახდილი წლიური თანხა ჯამში არ აღემატება 5000 ლარს და, შესაბამისად, მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ფაკულტეტის ფინანსებზე. დამატებით სემესტრებში დარეგისტრირებული დოქტორანტებისთვის კი გადასახადის შემცირება მნიშვნელოვანი შედეგით იქნება.

**აზრი გამოთქვა:** პროფესორმა დიანა ძიძიგურმა. მან აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ სახელმწიფო დოქტორანტურასაც დააფინანსებდა ვაუჩერებით. ეს წინადადება ყველასთვის მისაღები იყო და შეთანხმდნენ, რომ ფაკულტეტის საბჭომ წერილი მოამზადოს დოქტორანტურის სახელმწიფო ვაუჩერის საჭიროების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი აღნიშნული საკითხები.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** ა) 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სწავლის ძირითადი 6 სემესტრის გადასახადი დარჩეს 150 ლარი/სემესტრში, ხოლო ყველა დამატებით სემესტრში სწავლის სემესტრული გადასახადი განისაზღვროს პირველ დამატებით სემესტრში განსაზღვრული საფასურის ოდენობით, რაც შეადგენს 300 ლარს;

ბ) დოქტორანტურის სახელმწიფო ვაუჩერის საჭიროების შესახებ მომზადდეს ფაკულტეტის საბჭოს წერილი.

**2. მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი – მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მაგდა ალანიამ. მან აღნიშნა, რომ ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამაზე მიღება არ გამოცხადებულა თებერვალში, რადგან პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჭიროებდა დახვეწას. მოგვიანებით დაზუსტდა წინაპირობები. სტუდენტებმაც გამოთქვეს ამ პროგრამაზე ჩაბარების სურვილი. შედეგად ფაკულტეტის საბჭოს თანხმობის შემთხვევაში მოხდება ამ პროგრამის შეტანა მაგისტრატურის მოდიფიცირებულ ანკეტა-კითხვარში ადგილების რაოდენობით 5. გარდა ამას, ქართულენოვან მაგისტრატურას დაემატა კიდევ 15 ადგილი, რადგან უცხოურ ენოვანი ჯგუფები ვერ შედგა. შემდეგ ქალბატონმა მაგდამ საბჭოს წევრებს შესთავაზა, ზედმეტი ადგილები გადანაწილდეს იმ სპეციალობებზე, სადაც კონკურსია, ამასთან, გააცნო მათ შემოსული განცხადებების რაოდენობა, რათა მოხდეს ამ მონაცემების გათვალისწინება ადაგილების გადანაწილებისას.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე.

მაგისტრატურის კორექტირებული ანკეტა-კითხვარი საბჭოს წევრებს გააცნო ქ-მა მაგდა ალანიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა მაგისტრატურის კორექტირებულ ანკეტა-კითხვარს.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს მაგისტრატურის კორექტირებული ანკეტა-კითხვარი. (იხ. დანართი 2).

### **3. მოისმინეს:** მიმდინარე საკითხების შესახებ

3.1. ფაკულტეტის საბჭოს სადისერტაციო საბჭოს რეორგანიზაციასთან და დოქტორანტურის დებულებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ყოფილ მდივანს, ასოცირებულ პროფესორს ა. თევზაძეს. ალექსანდრე თევზაძემ ფაკულტეტის საბჭოს გააცნო საქართველოს "კანონში განათლების შესახებ" შესული ცვლილებები. მან აღნიშნა, რომ კანონის ახალი მოთხოვნის შესაბამისად საჭიროა სადისერტაციო საბჭოს ჩამოყალიბება არა მიმართულების, არამედ დარგი/სპეციალობის მიხედვით. ამგვარად, ფაკულტეტზე უნდა ჩამოყალიბდეს 8 სადისერტაციო საბჭო - მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, გეოგრაფიის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სპეციალობით. აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე მან შესთავაზა საბჭოს წევრებს სადისერტაციო საბჭოს ორი სანიმუშო დებულება, რომლებიც უნდა განხილულ იქნეს დეპარტამენტებში ფაკულტეტის საბჭოს შემდეგ სხდომაზე დასამტკიცებლად (იხ. დანართი 3ა.1 – 3ა.2) და მოკლედ ისაუბრა დოქტორანტურის დებულებაში შესულ ცვლილებებზე.

**აზრი გამოთქვას:** პროფესორმა დ.ძიძიგურმა. მან წამოაყენა წინადადება, რომ დოქტორანტურის დებულებაში ჩაიდოს მინიმალური სტანდარტი, რომლის შესრულება აუცილებელი იქნება დოქტორანტისათვის. აზრი გამოთქვას პროფესორებმა ნ.გაჩეჩილაძემ, ე.ნადარაიამ, დ.კერესელიძემ.

რაც შეეხება სადისერტაციო საბჭოს დებულებას, ა.თევზაძემ აღნიშნა, რომ სასურველია 14-16 სექტემბრისთვის სადისერტაციო საბჭოები დეპარტამენტების მიხედვით უკვე ჩამოყალიბებული იყოს. მან საბჭოს წევრებს გააცნო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შესული ცვლილებები, ასევე მათემატიკის დეპარტამენტის წინადადება, რომ ამ დეპარტამენტში დარჩეს ის სქემა, რაც ფაკულტეტზე იყო, ანუ იმუშაოს კოლეგიამ.

პროფესორმა ალექსანდრე გამყრელიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნება ფაკულტეტის შემდეგ სხდომაზე, როცა დებულებები დამტკიცდება, მოიწვიონ ყველა დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

**დაადგინეს:** ინფორმაცია სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში შესატანი ცვლილებების შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად და რეკომენდაცია მიეცეთ დეპარტამენტების ხელმძღვანელებს სადისერტაციო საბჭოს დებულებების შეთახმებული ვერსიები წარმოადგინონ ფაკულტეტის საბჭოს შემდეგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

3.2. შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ვაკანსიების შევსების საჭიროების შესახებ. მან აღნიშნა, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს შესაბამის დეპარტამენტებში, სასურველია არაუგვიანეს 14 სექტემბრისა, რასაც ყველამ დაუჭირა მხარი.

3.3 სხდომის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა ფაკულტეტის დებულების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია ფაკულტეტის დებულების კორექტირება და საბჭოს სხდომაზე დამტკიცება უახლოეს პერიოდში. შემდეგ ისაუბრა დებულების იმ საკითხებზე, რომლებიც საჭიროებენ დაზუსტებას ან შეცვლას. ასეთი საკითხები იყო, მაგალითად, დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევის წესი (სასურველია იყოს ფარული კენჭისყრით); კათედრის გამგის არჩევის წესი, თუმცა

ამას აზრი ეკარგება, თუ მხოლოდ ერთი სრული პროფესორია კათედრაზე; საბჭოს შემადგენლობის კორექტირება დეპარტამენტების მიხედვით. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ დეპარტამენტის თავმჯდომარეებმა სურვილი გამოთქვეს საბჭოს შემადგენლობაში შევიდეს 4-4 წევრი დიდი დეპარტამენტებიდან და თითო წევრი - მცირე დეპარტამენტებიდან.

**აზრი გამოთქვა:** ასისტენტ პროფესორმა თ.დავითაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში, ვთქვათ, 28 კაციან დეპარტამენტს და 16 კაციან დეპარტამენტს ტოლი რაოდენობის წარმომადგენლები ეყოლებათ ფაკულტეტის საბჭოში, რაც სამართლიანი არ იქნება.

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა ინტერდისციპლინური კათედრების ადგილზე ფაკულტეტის სტრუქტურაში. მან აღნიშნა, რომ ამის თაობაზე არაერთი წერილი მიიღო ერთ-ერთი ინტერდისციპლინური კათედრის გამგისგან, პროფესორ თ.მმინარიშვილისგან, რომელიც სურვილს გამოთქვამს, რომ ინტერდისციპლინური კათედრები არ შევიდეს რომელიმე, მხოლოდ ერთი დეპარტამენტის შემადგენლობაში. მან წამოაყენა სხვადასხვა ვარიანტები ფაკულტეტის სტრუქტურაში ინტერდისციპლინური კათედრის ადგილისა, რაც საზოგადოდ მიუღებელი ჩანდა საბჭოს სხვა წევრებისთვის.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამი ინტერდისციპლინური კათედრიდან ორი თანახმაა შევიდეს ერთ-ერთი დეპარტამენტის შემადგენლობაში, მხოლოდ ერთია წინააღმდეგი. ამიტომ მან კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ვინაა თანახმა, რომ ყველა კათედრა შედიოდეს დეპარტამენტის შემადგენლობაში.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 21, წინააღმდეგი - 1, თავი შეიკავა - 0.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა ლაბორატორიის თანამშრომლების სტატუსის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** პროფესორებმა დ.ძიძიგურმა და ო.მუკბანიანმა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,  
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,  
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი

